

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №180

2015 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის
წარმოების წესის დამტკიცების შესახებ

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-80 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად,
ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის
წარმოების თანდართული წესი.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 01 იანვრიდან.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი

კახა კახიშვილი

არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის
წარმოების წესი

თავი I

ზოგადი დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი ადგენს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა (შემდგომში – რეესტრი) და პირადი საქმის (შემდგომში – პირადი საქმე) წარმოების წესსა და პირობებს.
2. რეესტრი და პირადი საქმე წარმოადგენს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემთა (შემდგომში – მონაცემები) სისტემურ ერთობლიობას.
3. რეესტრისა და პირადი საქმის წარმოება მოიცავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) პენიტენციურ დაწესებულებებში (შემდგომში – პენიტენციური დაწესებულება) არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებასთან, აღრიცხვასთან, გადაყვანასთან და გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მიზანია არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის თაობაზე ინფორმაციის თავმოყრა, მისი სისტემატიზაცია, მონაცემთა სრული და ერთიანი ბაზის შექმნა, სტატისტიკური ანალიზისა და მონიტორინგის განხორციელების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. რეესტრისა და პირადი საქმის წარმოება და კონტროლი

1. რეესტრისა და პირადი საქმის წარმოებას, ამ წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილება (შემდგომში – სპეციალური აღრიცხვის განყოფილება).
2. რეესტრისა და პირადი საქმის შევსების კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს პენიტენციური დაწესებულება.

მუხლი 3. პირადი საქმის გაცნობა



1. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, გაეცნოს თავის პირად საქმეს.
2. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის უფლება აქვს აგრეთვე ამ წესის დანართი №20-ით განსაზღვრულ პირობებში.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირობებში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის უფლება აქვს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილითა და „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.
4. სოციალური მუშაკები არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეს ეცნობიან სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას, ხოლო პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურეებს უფლება აქვთ გაეცნონ ინფორმაციას, როგორც სპეციალურად გამოყოფილ, ასევე საკუთარ სამუშაო ადგილას.
5. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის, რომელსაც სურს გაეცნოს მასზე წარმოებულ პირად საქმეს, შესაბამისი შუამდგომლობით მიმართავს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს. პენიტენციური დაწესებულების დირექტორი შუამდგომლობის მიღების შემდგომ ავალებს პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილებას, უზრუნველყოს არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულისათვის პირადი საქმის გაცნობა.
6. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეს ეცნობა სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას, სპეციალური აღრიცხვის განყოფილების ერთ-ერთი მოსამსახურის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.
7. პირადი საქმის გაცნობისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე შესაბამისი პირის მიერ პირადი საქმის გაცნობისას წარმოებს ამ წესის დანართი №19-ით განსაზღვრული ჟურნალი.

8. ამ წესის დანართი №20 ნუსხით გათვალისწინებული პირობები პირად საქმეს ეცნობიან შესაბამისი მიმართვის საფუძველზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ უნდათ საქმის მასალების გაცნობა და რა ვადით სჭირდებათ ეს მასალები. გადაწყვეტილებას, პირადი საქმის გაცნობის თაობაზე, იღებს დაწესებულების დირექტორი.

მუხლი 4. რეესტრში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტებისა და პირადი საქმის დაარქივება და განადგურება

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ მისი პირადი საქმე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის არქივის სამმართველოს.
2. არასრულწლოვანი ბრალდებულის რეესტრში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტები და პირადი საქმე, გარდა ნასამართლობის მქონე ბრალდებულისა, ნადგურდება მისი გათავისუფლებიდან 4 წლის ვადაში.
3. ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვნის რეესტრში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტები და პირადი საქმე, გარდა ნასამართლობის მქონე მსჯავრდებულისა, ნადგურდება მისი გათავისუფლებიდან 7 წლის ვადაში.
4. მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვნის რეესტრში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტები და პირადი საქმე, გარდა ნასამართლობის მქონე მსჯავრდებულისა, ნადგურდება მისი გათავისუფლებიდან 8 წლის ვადაში.
5. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვნის რეესტრში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტები და პირადი საქმე ნადგურდება მისი გათავისუფლებიდან 10 წლის ვადაში.

5¹. ამ მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ნასამართლობის მქონე არასრულწლოვნის



რეესტრში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტები და პირადი საქმე ნადგურდება მისი გათავისუფლებიდან 10 წლის ვადაში.

6. სრულწლოვნების მიღწევის გამო, მსჯავრდებულის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას, შესაბამის დაწესებულებაში იგზავნება მსჯავრდებულის პირადი საქმე, რომელსაც უნდა გაუკეთდეს განმასხვავებელი ნიშანი. აღნიშნული პირადი საქმის გაცნობა ხდება ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 22 აპრილის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 25.04.2016 წ.

მუხლი 5. რეესტრის წარმოების ფორმა

რეესტრი იწარმოება დოკუმენტური (მატერიალური) და ელექტრონული ფორმით.

თავი II

არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრის წარმოება

მუხლი 6. არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრი

1. რეესტრი წარმოებს პერსონალურად და რაოდენობრივად.
2. პერსონალური რეესტრი წარმოებს ჟურნალების, სააღრიცხვო ბარათების, პირადი საქმისა და სხვადასხვა უწყისის მიხედვით.
3. რაოდენობრივი რეესტრი წარმოებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) მიერ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სტატისტიკური აღრიცხვის ცხრილების მიხედვით.
4. რეესტრსა და პირად საქმეს აწარმოებს პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი განყოფილებები.
5. პირადი საქმისა და რეესტრის წარმოების პროცესში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ნებისმიერი სახით მონაწილეობა აკრძალულია.

მუხლი 7. პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილება

1. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება უშუალოდ აწარმოებს შემდეგი სახის დოკუმენტებს:
 - ა) პირად საქმეს (დანართი №1);
 - ბ) არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სააღრიცხვო ბარათებს (დანართი №2) სააღრიცხვო საცნობარო კარტოთეკის საწარმოებლად (არსებულთა და გასულთათვის);
 - გ) ვადების საკონტროლო ბარათებს (დანართი №3);
 - დ) გადაადგილებისა და პირადი საქმეების აღრიცხვის ჟურნალს (დანართი №13).
2. რეესტრის წარმოებისას სპეციალური აღრიცხვის განყოფილება:
 - ა) პენიტენციურ დაწესებულებაში ახლადშემოსული არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ავსებს შესაბამის დოკუმენტებს (ამოწმებს შემოსული დოკუმენტების სისწორეს);
 - ბ) აწარმოებს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პერსონალურ და რაოდენობრივ აღრიცხვას;



გ) კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შეწყალების თაობაზე მასალებს;

დ) ადასრულებს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ შეწყალების განკარგულებას;

ე) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სასამართლოში წარსადგენად ამზადებს მასალებს და უზრუნველყოფს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებულ სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულებას;

ვ) აფორმებს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანასთან და გათავისუფლებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს;

ზ) აკონტროლებს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის ვადების დაცვას;

თ) კომპეტენციის ფარგლებში ავსებს არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დახასიათებას („ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №5-ის შესაბამისად);

ი) აწარმოებს პირადი საქმის გამოთხოვის ჟურნალს (დანართი №14);

კ) უზრუნველყოფს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე ვადების გამოთვლასა და კონტროლს;

ლ) სპეციალური აღრიცხვის განყოფილება ამოწმებს დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსების საფუძვლიანობას;

მ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის შევსებას, თუ იგი მანამდე არ იყო შევსებული;

ნ) სააღრიცხვო ბარათის (დანართი №2) შევსებას საცნობარო კარტოთეკის საწარმოებლად.

3. დაწესებულებაში ახლად მოთავსებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ უნდა შედგეს პირადი საქმე (დანართი №1). პირადი საქმის შედგენის მიზნით დაწესებულება ახდენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფოტოგრაფირებას და დაქტილოსკოპირებას. ყველა ასეთ პირზე დგება ორი დაქტილოსკოპიური ბარათი (დანართი №9) და 6 ცალი ფოტოსურათი: ორი – ანფასში და ოთხი – პროფილში. ერთი დაქტილოსკოპიური ბარათი თავსდება პირადი საქმის პირველ ნაწილში, ხოლო მეორე დაქტილოსკოპიური ბარათი სააღრიცხვო ბარათთან ერთად იგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფში. სამი ფოტოსურათი (ანფასი და პროფილი) ეკვრება ბრალდებულის/მსჯავრდებულის ანკეტას, სამი ფოტოსურათი (ანფასი და პროფილი) ინახება კონვერტში და ეკვრება პირად საქმეს.

4. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება ბრალდებულის მიმართ ადგენს სააღრიცხვო ბარათს ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება კარტოთეკაში, ერთი იგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფში, ხოლო მსჯავრდებულის მიმართ ადგენს სააღრიცხვო ბარათს ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება კარტოთეკაში (გარდა მე-3 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა).

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 25 იანვრის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 25.01.2016წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 22 აპრილის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 25.04.2016 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №157 - ვებგვერდი, 23.12.2016 წ.

მუხლი 8. პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილება



პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილება აწარმოებს შემდეგი სახის დოკუმენტებს:

ა) სააღრიცხვო ჟურნალს, პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიური აღრიცხვისათვის;

ბ) საცნობარო ბარათებს, პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებულ არასრულწლოვან ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე (დანართი №4);

გ) არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საკნის/სპეციალური საცხოვრებლის ბარათებს (დანართი №5);

დ) სადღეღამისო უწყისს პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებულ პირებზე (დანართი №6);

ე) რაოდენობრივი აღრიცხვის წიგნს;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ავსებს არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დახასიათებას („ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №5-ის შესაბამისად);

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 25 იანვრის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 25.01.2016წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №157 - ვებგვერდი, 23.12.2016 წ.

მუხლი 9. პენიტენციური დაწესებულების სოციალური განყოფილება

პენიტენციური დაწესებულების სოციალური განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) კომპეტენციის ფარგლებში არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მასალებისა და შესაბამისი შუამდგომლობის მომზადებას პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე;

ბ) არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთაგან შემოსული სააპელაციო და საკასაციო საჩივრების აღრიცხვას, მათ რეგისტრაციას და დანიშნულების მიხედვით გაგზავნას;

გ) არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დახასიათების ფორმის შევსებას კომპეტენციის ფარგლებში („ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №5-ის შესაბამისად);

დ) სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმის წარმოებას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 25 იანვრის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 25.01.2016წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 22 აპრილის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 25.04.2016 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 22 დეკემბრის ბრძანება №157 - ვებგვერდი, 23.12.2016 წ.

მუხლი 10. პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტი

პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტი აწარმოებს შემდეგი სახის დოკუმენტებს:

ა) ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათს (დანართი №18);



ბ) მოშიშვნილ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, რომელიც რეგულირდება „პენიტენციურ დაწესებულებებში მოშიშვნილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფნის პირობების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის №169 ბრძანებით.

მუხლი 11. პენიტენციური დაწესებულების ოპერატიული მორიგე

1. პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულის მიღებისას პენიტენციური დაწესებულების ოპერატიული მორიგე მოვალეა:

ა) მიიღოს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმე და გამყოლი ფურცელი (დანართი №12);

ბ) გადასაყვან არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიაში აღნიშნული რაოდენობა შეადაროს შემოსულ არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობას და შეამოწმოს, არის თუ არა ყველა არასრულწლოვანი ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე შემოსული პირადი საქმე;

გ) დაადგინოს პირადი საქმის კუთვნილება კონკრეტულ არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთან მისი გამოკითხვისა და პირადი საქმის მონაცემების შედარებით;

დ) ზემოაღნიშნული პუნქტების შესრულების შემდეგ ხელი მოაწეროს არასრულწლოვან ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა და მათი პირადი საქმეების მიღებაზე.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში მოსათავსებელ არასრულწლოვანთა მიღებას აწარმოებს დაწესებულების ოპერატიული მორიგე, რომელიც აფორმებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) არასრულწლოვან ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი შემოწმების ოქმს, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს შემოწმების დროს აღმოჩენილი ნივთებისა და დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (ოქმი დგება ერთ ეგზემპლარად. თუ შემოწმების დროს ბრალდებულს/მსჯავრდებულს აღმოაჩნდა აკრძალული ნივთები, ისინი ამოღებული უნდა იქნეს და გადაეცეს შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებას, ხოლო ბრალდებულს/მსჯავრდებულს გადაეცემა ოქმის ასლი ყველა ნივთის ჩამონათვალის აღნიშვნით);

ბ) არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასაკნე/სპეციალური საცხოვრებლის და საცნობარო ბარათს;

გ) არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ანკეტას (დანართი №7);

დ) განცალკევების სიას (დანართი №8), რომელიც ივსება იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ შესაბამისი უფლებამოსილი პირისაგან შემოსულია მოთხოვნა. განცალკევების სიის ნომერი შეიტანება საკნის/სპეციალური საცხოვრებლის ბარათში.

3. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ყველა არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გვარი პენიტენციური დაწესებულების ოპერატიულ მორიგეს შეაქვს სადღეღამისო უწყისში, რომელიც ბარდება პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილებას. პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილებაში სადღეღამისო უწყისი ცალკე საქმედ იკინდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

4. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსდა და რომელზეც იქმნება ან/და უკვე შექმნილია პირადი საქმე, ენიჭება ის პირადი ნომერი, რომლითაც იგი რეგისტრირებულია არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეგისტრაციის ჟურნალში.

5. სადღეღამისო ჩანაწერები წარმოებს წლის ბოლომდე ნომრების თანმიმდევრობით. პენიტენციურ დაწესებულებაში მიყვანილი ყველა არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონაცემები ჩაიწერება მორიგი ნომრის მითითებით ან მის გარეშე, რომელიც წლის ბოლოს გადაეცემა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის არქივის სამმართველოს.



6. პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსებისას, მის პირად საქმესა და პირადი შემოწმების ოქმს, აგრეთვე ნივთების ამოღების ოქმს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ანკეტას, გარეგანი დათვალიერების ოქმის ასლს, სადღეღამისო უწყისს პენიტენციური დაწესებულების ოპერატიული მორიგე აბარებს სპეციალური აღრიცხვის განყოფილებას.

7. არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ერთად პენიტენციური დაწესებულების დირექტორს წარედგინება არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან საკნის/სპეციალური საცხოვრებლის ბარათი. განცალკევების მომთხოვნთა სია რჩება პენიტენციური დაწესებულების ოპერატიულ მორიგესთან, რომელიც შემდეგ ცალკე საქმეში ინახება, პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილებაში (იზოლაციის ჟურნალში).

მუხლი 12. ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე კარტოთეკული აღრიცხვის წარმოება

1. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ყოველ არასრულწლოვან ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე ივსება სააღრიცხვო ბარათი (დანართი №2) სააღრიცხვო საცნობარო კარტოთეკის საწარმოებლად.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ და პენიტენციური დაწესებულებიდან გასულ არასრულწლოვან ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე სააღრიცხვო – საცნობარო კარტოთეკა დგება ცალ-ცალკე.

3. კარტოთეკაში სააღრიცხვო ბარათები თავსდება ანბანურად გვარისა და სახელის მიხედვით, რომელიც ინახება პირადი საქმის შენახვის ვადით.

მუხლი 13. პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი

1. ამბოლატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათს და მოშიმშილე ბრალდებულის/მსჯავრდებულის საქმეს აწარმოებს საექიმო-სამედიცინო პუნქტი.

2. ამბოლატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი და მოშიმშილე ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან საქმე არ წარმოადგენს პირად საქმეში შესატან დოკუმენტაციას.

3. ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი და მოშიმშილე ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან საქმე პირად საქმეს დაერთვის მხოლოდ არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის ან პირადი საქმის დაარქივების შემთხვევაში.

4. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის არქივის სამმართველოში გადასაგზავნი სამედიცინო დოკუმენტაცია პირად საქმეს დაერთვის დალუქულ მდგომარეობაში.

5. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის დროს პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტი უზრუნველყოფს ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათისა და მოშიმშილე ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან პირადი საქმის გადაგზავნას სხვა პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში.

6. ამბოლატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი და მოშიმშილე ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან საქმე ინახება საექიმო-სამედიცინო პუნქტში და მისი გაცნობის უფლება აქვთ დანართი №21-ით განსაზღვრულ პირებს და „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირებს.

მუხლი 14. პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაადგილების აღრიცხვის წესი

1. სპეციალური აღრიცხვის განყოფილებას ყოველ სამუშაო დილას, ოპერატიული მორიგე აწვდის არასრულწლოვან ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან საკნებში/სპეციალურ საცხოვრებელში განთავსების მონაცემებს.



2. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაკითხვაზე გაყვანა ხდება გამომძიებლის მიერ სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ. თუ საქმეზე დანიშნულია სხვა გამომძიებელი, ან საქმე წარმოებაში მიიღო სხვა ორგანომ, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირველად გამომძიებლისას გამომძიებელმა სამსახურებრივ მოწმობასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სპეციალური წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მასზე დარიცხვის ფაქტს, ხოლო ორგანომ – საქმის წარმოებაში მიღების შესახებ დადგენილების დამოწმებული ასლი. წერილობითი დამადასტურებელი დოკუმენტი ან დადგენილების ასლი თან ერთვის ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეს. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გამომძიებლის უფლება აქვთ ამ პირის მიმართ წარმოებულ გამოძიებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ პროკურორს, ზემდგომ პროკურორს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ადვოკატს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა პირებს.

3. პირები, რომელთაც აქვთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის გამომძიებლის უფლება, ავსებენ არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გამომძიებელზე მოთხოვნის ბარათს (დანართი N10) ოპერატიული მორიგე, სპეციალური აღრიცხვის განყოფილებაში შესაბამისი ცნობის მიღების შემდეგ, ავსებს არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გამომძიებლის ბარათს (დანართი №11) და გაჰყავს არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაკითხვაზე ან შეხვედრაზე. ოპერატიული მორიგე მოთხოვნას და ბარათს დღე-ღამის განმავლობაში აბარებს სპეციალური აღრიცხვის განყოფილებას.

4. პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც იმყოფება არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, მოთხოვნის და ბრალდებულის/მსჯავრდებულის გამომძიებლის ბარათი შეიძლება ჩაეკრას ცალკე საქმეში. ასეთი საქმეები პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილებაში ინახება 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 15. გარდაცვლილ და გაქცეულ არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვა

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის აღრიცხვიდან მოხსნა გარდაცვალების გამო ხდება უფლებამოსილი პირის მიერ, გარდაცვალების შესახებ გაცემული სამედიცინო ცნობის საფუძველზე.

2. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების შესახებ განცხადების ვალდებულება ეკისრებათ პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ იგი პენიტენციურ დაწესებულებაში გარდაიცვალა.

3. გარდაცვალების რეგისტრაციისათვის გარდაცვალების მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);

ბ) გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);

გ) პენიტენციური დაწესებულების ან უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა გარდაცვალების შესახებ.

4. პენიტენციური დაწესებულების სოციალური განყოფილება წერილობით ატყობინებს არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების შესახებ მის ახლო ნათესავს, აგრეთვე წერილობითი ცნობა გარდაცვალების შესახებ ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თვითმართველობის ქალაქის, მუნიციპალიტეტის სამმართველოს, დაპატიმრებამდე/თავისუფლების აღკვეთამდე არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უკანასკნელი რეგისტრაციის ადგილის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.



5. არასრულწლოვანი ბრალდებულის გარდაცვალების შესახებ ეცნობება ასევე იმ საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოს, რომლის წარმოებაშიცაა საქმე.
6. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გარდაცვალების შესახებ შეტყობინების ასლები, რომელიც ეგზავნება გარდაცვლილი მსჯავრდებულის ახლო ნათესავს, თან დაერთვის გარდაცვლილი მსჯავრდებულის პირად საქმეს.
7. გარდაცვალების შესახებ შეტყობინების ასლები, რომელიც ეგზავნება გარდაცვლილი ბრალდებულის ახლო ნათესავს და საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოს, რომელსაც ერიცხება ბრალდებული, თან დაერთვის გარდაცვლილი ბრალდებულის პირად საქმეს.
8. გარდაცვლილი არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეს თან დაერთვის უფლებამოსილი პირის მიერ გარდაცვალების შესახებ გაცემული სამედიცინო ცნობის ასლი.
9. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სააღრიცხვო ბარათში კეთდება აღნიშვნა გარდაცვალების შესახებ. ამ შემთხვევაში, სააღრიცხვო ბარათი ამოიღება დაწესებულებაზე რიცხულთა სააღრიცხვო-საცნობარო კარტოთეკიდან და თავსდება გარდაცვლილთა სააღრიცხვო-საცნობარო კარტოთეკაში. პირადი საქმე შესაბამისი გაფორმების შემდეგ შესანახად ბარდება სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის არქივის სამმართველოს, რომლის განადგურებაც ხდება გარდაცვალებიდან 3 წლის ვადაში.
10. გაქცეული ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბრუნების შემთხვევაში ივსება ახალი სააღრიცხვო ბარათი, ხოლო ძველი სააღრიცხვო ბარათი აეკრობა ახალ ბარათს (დანართი №2).

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 22 აპრილის ბრძანება №43 - ვებგვერდი, 25.04.2016 წ.

მუხლი 16. არასრულწლოვანი ბრალდებულის გათავისუფლების შესახებ დოკუმენტის გაფორმების წესი

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის გათავისუფლება ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.
2. არასრულწლოვან ბრალდებულს გათავისუფლებისას მიეცემა გათავისუფლების შესახებ ცნობა.
3. არასრულწლოვანი ბრალდებულის გათავისუფლებაზე მიღებული დოკუმენტების შესრულება ხდება მათი მიღების დღესვე.
4. თუ არასრულწლოვანი ბრალდებულის გათავისუფლების შესახებ პენიტენციურ დაწესებულებაში წარდგენილ დოკუმენტს აღმოაჩნდება ხარვეზი, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი მიმართავს გათავისუფლების დოკუმენტის გამცემ ორგანოს ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ.
5. არასრულწლოვანი ბრალდებულის გათავისუფლებაზე არსებული ყველა დოკუმენტი გასაცნობად გადაეცემა არასრულწლოვან ბრალდებულს.
6. პენიტენციურ დაწესებულებიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვან ბრალდებულზე გაიცემა ცნობა (დანართი №16).
7. არასრულწლოვანი ბრალდებულის გათავისუფლებაზე გაცემული ცნობის შევსება ხდება გარკვევით და გადასწორების გარეშე. ცნობის ზედა მარცხენა კუთხეში მიეთითება პენიტენციური დაწესებულების დასახელება. არასრულწლოვან ბრალდებულზე, რომელმაც შეიცვალა გვარი დაქორწინების გამო, გათავისუფლების ცნობა გაიცემა ახალ გვარზე. ამასთან ერთად, ცნობის გრაფაში „ოჯახური მდგომარეობა“, ქორწინების რეგისტრაციის შესახებ ცნობების ჩაწერის შემდეგ, მიეთითება მისი ქორწინებამდელი გვარიც. შემდეგ, ცნობაში მიეთითება: სასამართლოს დასახელება, დაპატიმრების თარიღი და ვის მიერ იქნა დაპატიმრებული. წარსულში ნასამართლობის შესახებ, თუ ნასამართლობა არ არის მოხსნილი კანონით დადგენილი წესით. არასრულწლოვანი ბრალდებულები, რომლებიც ამნისტიით გათავისუფლდნენ, გათავისუფლების ცნობაში იწერება – ამნისტიის გამო.
8. გათავისუფლების ცნობის აბზაცში სიტყვებთან „მიდის საცხოვრებელი ადგილისაკენ“, მიეთითება



მისამართი, სადაც მიემგზავრება გათავისუფლებული.

9. გათავისუფლების შესახებ ცნობას ხელს აწერს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი და სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი. ხელმოწერები და ცნობაზე დაწებებული ფოტოსურათი დამოწმდება გერბიანი ბეჭდით, რომელზეც აღნიშნულია პენიტენციური დაწესებულების პირობითი დასახელება.

10. არასრულწლოვან ბრალდებულს გათავისუფლების შესახებ ეძლევა ცნობა, რასაც იგი ადასტურებს ცნობის ასლზე ხელისმოწერით. ამასთან, წარმოებს გათავისუფლებულის გამოკითხვა და ხდება მისი პასუხების შედარება პირადი საქმის დოკუმენტების მონაცემებთან, აგრეთვე ხდება ფოტოსურათისა და გათავისუფლებულის განსაკუთრებული გარეგნული ნიშან-თვისებების შედარება.

11. გათავისუფლებული არასრულწლოვანი ბრალდებულის პირადი ნივთების და ტანსაცმლის გადაცემისას დგება შესაბამისი ოქმი.

12. გათავისუფლების შესახებ ცნობების დაზიანებული ბლანკები ასევე ნადგურდება აქტის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ.

მუხლი 17. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებისა და სასჯელის შემცირების დოკუმენტების გაფორმების წესი

1. არასრულწლოვანი მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდის დამთავრების დღის წინა დღეს. თუ გათავისუფლების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, არასრულწლოვანი მსჯავრდებული თავისუფლდება წინა სამუშაო დღეს.

2. არასრულწლოვან მსჯავრდებულს გათავისუფლებისას მიეცემა გათავისუფლების შესახებ ცნობა (დანართი №17).

3. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების დროული გათავისუფლების მიზნით ხდება პირად საქმეში ჩადებულ დოკუმენტებში მოცემული თავისუფლების აღკვეთის ვადის შედარება მსჯავრდებულის სააღრიცხვო ბარათებში არსებული თავისუფლების აღკვეთის ვადის მონაცემებთან.

4. არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოხდის ვადის დადგენის გაუგებრობის შემთხვევაში, სასწრაფოდ მიიღება ზომები მათი დადგენისათვის.

5. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლება ხორციელდება თავისუფლების აღკვეთის ვადის შემოწმებულ მონაცემებზე (საფუძველზე). აკრძალულია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლება მხოლოდ ვადის საკონტროლო ბარათებში მოცემული სასჯელის ვადის მონაცემებზე დაყრდნობით.

6. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებაზე მიღებული დოკუმენტების შესრულება ხდება მათი მიღების დღესვე.

7. არადროული გათავისუფლების ყოველ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება და მიიღება ზომები დამნაშავე თანამდებობის პირთა დასასჯელად. არადროული გათავისუფლების ყველა შემთხვევაზე დაუყოვნებლივ ეცნობება სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტის დირექტორსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს.

8. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლების ან სასჯელის ვადის შემცირების დოკუმენტებს, რომლებიც მიღებულია კერძო პირებისაგან, არასაიდუმლო ფოსტით ან ელექტრონული საშუალებით, ამოწმებენ დამატებით.

9. სასჯელის ვადის შემცირებაზე შეტყობინების მიღების შემთხვევაში, სპეციალური აღრიცხვის განყოფილება ამოწმებს ამ დოკუმენტების გაფორმების სისწორეს და მათ მსგავსებას პირადი საქმის მასალებთან.

10. გერბიანი ბეჭდით დაუმოწმებელი, გაურკვეველი ბეჭდით ან სხვა ორგანოს ბეჭდით დამოწმებული (რომელსაც არ გამოუტანია გადაწყვიტილება), ასევე ანკიტურ მონაცემებთან შეუთავსებელი ან სხვა



საექვო დოკუმენტის მიღებისას, მისი შესრულება ჩერდება და სასწრაფოდ ხდება ახალი დოკუმენტების მოთხოვნა ან მიღება, ასევე გადაწყვეტილების გამომტანი შესაბამისი ორგანოს მიერ დამოწმება.

11. გათავისუფლების შესახებ დაწესებულებაში წარდგენილ დოკუმენტს თუ აღმოაჩნდება ხარვეზი, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი მიმართავს იმ ორგანოს, რომელმაც გასცა ხარვეზიანი დოკუმენტი ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ.

12. გათავისუფლებაზე ან სასჯელის ვადის შემცირებაზე არსებული ყველა დოკუმენტი ეცნობება მსჯავრდებულს.

13. გათავისუფლებაზე გაცემული ცნობის შევსება ხდება გარკვევით და გადასწორების გარეშე. ცნობის მარცხენა ზედა კუთხეში მიეთითება პენიტენციური დაწესებულების დასახელება. მსჯავრდებულზე, რომელმაც შეიცვალა გვარი დაქორწინების გამო, გათავისუფლების ცნობა გაიცემა ახალ გვარზე. ამასთან ერთად, ცნობის გრაფაში „ოჯახური მდგომარეობა“, ქორწინების რეგისტრაციის შესახებ ცნობების ჩაწერის შემდეგ, მიეთითება მისი ქორწინებამდელი გვარიც. შემდეგ ცნობაში მიეთითება: სასამართლოს დასახელება, განაჩენის გამოტანის თარიღი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები და სასჯელის ვადა და, თუ განაჩენის გაერთიანება მოხდა, იმ შემთხვევაში განაჩენების გაერთიანების გამო სასჯელის მთლიანი (საერთო, გაერთიანებული) ვადა; წარსულში ნასამართლობის შესახებ, თუ ნასამართლობა არ არის მოხსნილი კანონით დადგენილი წესით. პირებს, რომელთაც შეწყალების აქტით ან ამნისტიით შეუმცირდათ სასჯელის ვადა, გათავისუფლების ცნობაში იწერება – სასჯელის ვადის შემცირების თაობაზე ამნისტიის ან შეწყალების გამო.

14. თუ გათავისუფლებასთან ერთდროულად მსჯავრდებულს ეხსნება ნასამართლობის ან სასჯელის დამატებითი ზომაც, ამის თაობაზე მიეთითება გათავისუფლების საფუძვლების მითითების შემდეგ.

15. გათავისუფლების ცნობაში მიეთითება პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირებზე – სასჯელის ვადის მოუხდელი ნაწილი (იწერება ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების ზუსტი დაცვით), ადგილობრივი საბჭოს მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე გამოტანილი გადაწყვეტილების თარიღი და ფაქტობრივი გაშვების დრო;

16. გათავისუფლების ცნობის აბზაცში სიტყვებთან „მიდის საცხოვრებელი ადგილისაკენ“, მიეთითება მისამართი, სადაც მიემგზავრება გათავისუფლებული.

17. გათავისუფლების შესახებ ცნობას ხელს აწერს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი და სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი. ხელმოწერები და ცნობაზე დაწებებული ფოტოსურათი დამოწმდება გერბიანი ბეჭდით, რომელზეც აღნიშნულია პენიტენციური დაწესებულების პირობითი დასახელება.

18. გათავისუფლების შესახებ გათავისუფლებულს ეძლევა ცნობა, რასაც ის ადასტურებს მის ასლზე ხელის მოწერით. ამასთან, წარმოებს გათავისუფლებულის გამოკითხვა და ხდება მისი პასუხების შედარება პირადი საქმის დოკუმენტების მონაცემებთან, აგრეთვე, ხდება ფოტოსურათისა და გათავისუფლებულის განსაკუთრებული გარეგნული ნიშან-თვისებების შედარება.

19. გათავისუფლებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირადი ნივთების და ტანსაცმლის გადაცემისას დგება შესაბამისი ოქმი.

20. გათავისუფლების შესახებ ცნობის ყუა დაწესებულებაში ინახება ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება, რაზედაც დგება აქტი.

თავი III

არასრულწლოვანი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმის წარმოება

მუხლი 18. არასრულწლოვანი ბრალდებულის პირადი საქმის წარმოების წესი

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის პირადი საქმე დგება მისი დაპატიმრებიდან გათავისუფლებამდე.



2. სპეციალური აღრიცხვის განყოფილება პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ყველა არასრულწლოვან ბრალდებულზე ადგენს პირად საქმეს (დანართი №1).
3. არასრულწლოვანი ბრალდებულის პირადი საქმის ერთ ტომში არ შეიძლება იყოს 300 ფურცელზე მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაემატოს ახალი ტომი, რომელშიც კონცენტრირდება პირადი საქმის დოკუმენტების მე-2 ნაწილი.
4. პირად საქმეში არსებული ყველა დოკუმენტი აღიწერება და ისინი შეადგენს პირადი საქმის პირველ და მეორე ნაწილებს. თუ პირად საქმეს ახლავს პირის პირადი დოკუმენტების კონვერტი, ისინი აღიწერება პირადი საქმის მეორე ნაწილში. პირადი დოკუმენტების აღწერის ფურცელი ინახება პირად საქმეში არსებულ კონვერტში, რომელიც ეკვრება პირადი საქმის მეორე ყდას შიდა მხრიდან.
5. თუ არასრულწლოვან ბრალდებულზე არსებობს განსხვავებული მონაცემები, ან მის დოკუმენტებში მასზე მითითებულია სხვადასხვა გვარი, სახელი, მამის სახელი, პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილება ვალდებულია საგამომიებო ორგანოს მოსთხოვოს საანკეტო მონაცემების დაზუსტება და მათი დამადასტურებელი დოკუმენტების გამოგზავნა.
6. თუ სპეციალური აღრიცხვის განყოფილების მოსამსახურეს ეჭვი ეპარება სასამართლოდან შემოსული დოკუმენტის ასლის ნამდვილობაში (ბეჭედი არ იკითხება, აქვს იმ სასამართლოს ბეჭედი, რომელსაც არ გამოუტანია გადაწყვეტილება), იგი უფლებამოსილია გამოითხოვოს სასამართლოდან სრულყოფილი ასლი.
7. იმ შემთხვევაში, თუ შემოვიდა სასამართლოს ან სხვა ორგანოს გადაწყვეტილება არასრულწლოვანი ბრალდებულის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ, სპეციალური აღრიცხვის განყოფილების მოსამსახურეს შესაბამისი ცვლილებები შეაქვს სპეციალური აღრიცხვის განყოფილებაში არსებულ დოკუმენტებში.
8. ამოღებული დოკუმენტები, რომელებიც აკრძალულია საკანში, ინახება არასრულწლოვანი ბრალდებულის პირად საქმესთან ერთად და გადაეცემა მას გათავისუფლებისას.
9. თუ დაპატიმრებული პირი ბრალდებულია ორ ან რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე, სპეციალური აღრიცხვის განყოფილება უფლებამოსილია ამის შესახებ აცნობოს იმ ორგანოს, რომლის წარმოებაშიც იმყოფება საქმე ამ პირის მიმართ. შეტყობინების ასლი თან ერთვის პირად საქმეს.
10. პირადი საქმის დაკარგვის შემთხვევაში, იგი უნდა აღდგეს. ამისათვის კეთდება ხელახალი დაქტილოსკოპირება და ფოტოგრაფირება, არასრულწლოვანი ბრალდებულის დეტალური აღწერა და მონაცემების შედარება სხვა სააღრიცხვო დოკუმენტებთან. სასამართლოდან გამოითხოვება იმ გადაწყვეტილებათა ასლები, რომელთა საფუძველზეც პირი იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში. პირად საქმეს, ამ შემთხვევაში, ეწერება "აღდგენილი". პირადი საქმის დაკარგვის შემთხვევაში მიღებულ იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
11. არასრულწლოვან ბრალდებულზე წარმოებული ანბანურად ან რეგისტრაციისას მინიჭებულ ნომრებად დალაგებული პირადი საქმეები ინახება სეიფში ან კარადებში.
12. სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი ორ თვეში ერთხელ ერთმანეთს ადარებს არსებულ დოკუმენტაციას, სააღრიცხვო და ვადების საკონტროლო ბარათებს და პენიტენციურ დაწესებულებაში ფაქტობრივად მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებულების რაოდენობას.
13. არასრულწლოვანი ბრალდებულის პირად საქმეში უნდა იყოს მონაცემები მისი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.
14. არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, გაეცნოს თავის პირად საქმეს.
15. გარდაცვლილის ან პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებული არასრულწლოვანი ბრალდებულის პირადი საქმეები ჰბარდება სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის არქივის სამმართველოს.

მუხლი 19. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირადი საქმის წარმოება



1. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირადი საქმე დგება მისი დაპატიმრებიდან გათავისუფლებამდე.

